




ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის  
2018 წლის ბიუჯეტზე

ფოთი 2019 წელი


## საბიუჯეტო სახსრების მობილიზება

2018 წელს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაზუსტებული საბიუჯეტო შემოსულობების გეგმა შესრულებულია 100.6%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 20 072.1 ათ. ლარის მობილიზება. ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 187.6 ათ. ლარი.



### I. შემოსავლები

შემოსავლების გეგმა შესრულებულია 99.9%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 542.1 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 19 534.8 ათ. ლარი.




მათ შორის:

1) გადასახადებიდან შემოსავლების გეგმა შესრულდა 100.7%-ით. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 10 570.2 ათ. ლარი.

აქედან:


- ა) საშემოსავლო გადასახადი შესრულდა 1 881.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 117.6%-ია;
- ბ) საწარმოთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი შესრულდა 6 783.1 ათ. ლარით, რაც გეგმის 91.7%-ია;
- გ) უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 30.0 ათ. ლარის მობილიზებას, შემოსავალმა 1.2 ათ. ლარი შეადგინა;
- დ) ფიზიკურ პირთა ქონების (გარდა მიწისა) გადასახადი შესრულდა 96.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 321.0%-ია;
- ე) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადიდან შემოსავალმა 9.9 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 24.8%-ია;
- ვ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი შესრულდა 1 798.7 ათ. ლარით, რაც გეგმის 128.5%-ია.



2) გრანტებიდან (სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი) შემოსავლების გეგმა შესრულდა 98.6%-ით. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5 711.9 ათ. ლარისა, ფაქტიურმა შემოსავალმა 5 633.1 ათ. ლარი შეადგინა.

მათ შორის:

- ა) გათანაბრებითი ტრანსფერის გეგმა 1 118.8 ათ. ლარი შესრულდა 100.0%-ით;
- ბ) ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერების (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად) გეგმა შესრულდა 95.3%-ით, ანუ ფაქტიურმა შემოსავალმა 247.9 ათ. ლარი შეადგინა;
- გ) საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერების გეგმა შეადგენდა 4 333.1 ათ. ლარს, ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 4 266.4 ათ. ლარი, ანუ 98.5%.



- 3) სხვა შემოსავლების გეგმა გათვალისწინებული იყო 3 330.2 ათ. ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 3 331.5 ათ. ლარი, რაც გეგმის დაახლოებით 100.0%-ია.


აქედან:

- ა) პროცენტული შემოსავალმა 93.2 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 93.2%-ია;
- ბ) ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის, მოსაკრებლიდან მიღებულმა შემოსავლებმა 1 890.6 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 94.5%-ია;
- გ) მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან შემოსავალმა შეადგინა 49.4 ათ. ლარი, ანუ 164.7%;
- დ) ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელებიდან შემოსავალმა შეადგინა 744.3 ათ. ლარი, ანუ 109.5%.

მათ შორის:

- სანებართვო მოსაკრებლიდან შემოსავალმა შეადგინა 46.7 ათ. ლარი, ანუ 93.4%;

- სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლიდან შემოსავალმა 0.6 ათ. ლარი შეადგინა;
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან შემოსავალმა 138.0 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 106.2%;
- დასახლებული ტეროტორიის დასუფთავებისათვის ადგილობრივმა მოსაკრებელმა 559.0 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 111.8%-ია;
- ე) არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავალმა შეადგინა 17.5 ათ. ლარი, ანუ 86.6%;
- ვ) ჯარიმების, სანქციებისა და საურავების გეგმიდან ფაქტიურმა შემოსავალმა 443.4 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 100.8%;
- ზ) შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან შემოსავალმა 93.1 ათ. ლარი შეადგინა, ანუ 155.2%.




## II. არაფინანსური აქტივების კლება

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალმა შეადგინა 652.8 ათ. ლარი. გეგმა ითვალისწინებდა 530.0 ათ. ლარის მობილიზებას. შესრულებამ 123.2% შეადგინა.

აქედან:


- მირითადი აქტივების გეგმა იყო 17.0 ათ. ლარი, შემოსავალმა 17.5 ათ. ლარი შეადგინა;
- არაწარმოებული აქტივების (მიწა) გეგმა იყო 513.0 ათ. ლარი, შემოსავალმა კი 635.3 ათ. ლარი შეადგინა.

2018 წელს არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლების  
გეგმის შესრულების დინამიკა კვარტლების მიხედვით (ათ.  
ლარებში)



## საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯება

2018 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის  
გადასახდელები დარგობრივ ჭრილში



### I. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე 2018 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 3 898.6 ათ. ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 837.2 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.4%-ია.

მათ შორის:

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა - დაზუსტებული გეგმა ითვალისწინებდა 3 641.4 ათ. ლარის ხარჯს, საკასო შესრულებამ შეადგინა 3 608.2 ათ. ლარი, რაც გეგმის 99.1%-ია.
2. კრედიტის (საბიუჯეტო სესხის) სარგებლობისათვის გადახდილი პროცენტი - ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 86.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 100.0%-ია.
3. სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯი, რომელიც ითვალისწინებდა 8.0 ათ. ლარის ხარჯს, არ დაფინანსებულა.
4. მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დასაფარად ფაქტიურმა შესრულებამ 142.2 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 99.9%-ია.
5. სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხების გეგმა 20.0 ათ. ლარი არ დაფინანსებულა.


საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების  
დაფინანსება 2018 წელს



## II. თავდაცვა

თავდაცვისათვის (ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური) გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 93.3 ათ. ლარი. გეგმით გათვალისწინებული იყო 110.0 ათ. ლარის ხარჯი, ანუ დაფინანსებამ 84.8% შეადგინა.

თავდაცვის დაფინანსება 2018 წელს



### III. ეკონომიკური საქმიანობა

ეკონომიკური საქმიანობის ღონისძიებები (ტრანსპორტი) დაფინანსდა 72.8%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 668.3 ათ. ლარის ხარჯი, დაფინანსებამ შეადგინა 486.3 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა დაიხარჯა:

- ქუჩების ორმული შეკეთებაზე - 97.4 ათ. ლარი.


ორმული შეკეთების სამუშაოები ჩატარდა რუსთაველის რკალზე, ჭანტურიას, აკაკის, წმ. გიორგის, ბარათაშვილის, ნინოშვილის, ჩხეიძის, ლაგრანჟეს, ფარნავაზ მეფის, ზერაგიას, მარჯანიშვილის, რევავას, კლდიაშვილის, ვ. ფშაველას, გორგასალის, ფალიაშვილის, ჯავახიშვილის ქუჩებზე, კოსტავას, ლოლუას, გამსახურდიას, ლერმონტოვის ქუჩების მონაკვეთებზე, სამეგრელოს მოედანზე, ნიკოლაძის სანაპიროზე, 9 აპრილის ხეივანზე, შავი ზღვის სანაპიროზე.

- გამაფრთხილებელი ნიშნების შეძენაზე - 19.9 ათ. ლარი.

- ქუჩებში სათვალთვალო ვიდეო კამარების მოწყობაზე - 22.8 ათ. ლარი.

2018 წელს შესყიდულ იქნა 43 ერთეული სათვალთვალო ვიდეო კამერა, მათგან მოხდა 27 ერთეულის ინსტალაცია. სამუშაოები გაგრძელდება 2019 წელს.

- ცენტრალური ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობაზე (ფარნავაზ მეფის ქუჩა, სამეგრელოს მოედნიდან რუსთაველის რკალამდე) - 321.4 ათ. ლარი.
- გალერეისა და გზის დაზიანებული ასფალტოსაფარის აღდგენით სამუშაოებზე (9 აპრილის ხეივნისა და ნიკოლაძის სანაპიროს კვეთაზე) - 24.8 ათ. ლარი.



#### IV. გარემოს დაცვა


გარემოს დაცვის ღონისძიებები დაფინანსდა 67.0%-ით. გეგმა ითვალისწინებდა 348.4 ათ. ლარის ხარჯს, საკასო შესრულებამ შეადგინა 233.5 ათ. ლარი.

მათ შორის:

ა) ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება - საკასო შესრულებამ შეადგინა 13.4 ათ. ლარი, რაც გეგმის 99.3%-ს შეადგენს. აღნიშნული თანხა მოხმარდა გასული, 2017 წლის დავალიანების დაფარვას.

ბ) ჩამდინარე წყლების მართვა - საკასო შესრულებამ შეადგინა 220.1 ათ. ლარი, რაც გეგმის 65.7%-ია. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯებს - 27.3 ათ. ლარი.
- სატუმბო სადგურების მოვლა-პატრონობას - 6.5 ათ. ლარი.
- სანიაღვრე არხების მოვლა-პატრონობას და მაგისტრალური მიწისსამოსიანი არხების გაწმენდის სამუშაოებს - 0.4 ათ. ლარი (გასული წლის დავალიანება).
- სანიაღვრე სისტემებისა და სატუმბო სადგურების რეაბილიტაციას - 185.9 ათ. ლარი.



#### V. საბინაო კომუნალური მეურნეობა

საბინაო კომუნალური მეურნეობა - ხარჯმა, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 412.1 ათ. ლარისა, შეადგინა 5 038.6 ათ. ლარი, რაც გეგმის 59.9%-ია.

მათ შორის:

**ა) ბინათმშენებლობისთვის** დაიხარჯა 224.8 ათ. ლარი, რაც გეგმის 20.6%-ია. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსებში ლიფტების მოვლა-პატრონობას - 28.2 ათ. ლარი.
  - საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობას - 12.1 ათ. ლარი.
  - მრავალბიანიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციას - 152.6 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით რეაბილიტაცია ჩაუტარდა დ.აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე N8, 9 აპრილის ხეივანზე მდებარე N18 და N25 სახლების სახურავებს. ასევე დაფინანსდა სტიქიის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავების პროექტირების სამუშაოები.
  - სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის, 2018 წლის 30 ნოემბერს ძლიერი ქარის შედეგად კერძო სექტორში მცხოვრები მოსახლეობის დაზიანებული საცხოვრებელი სახლის სახურავის შესაკეთებლად (შიფრის შესყიდვა), სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 31.9 ათ. ლარი.
- ბ) კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის** დაიხარჯა 1 479.6 ათ. ლარი. გეგმა ითვალისწინებდა 3 625.4 ათ. ლარის ხარჯს, ანუ შესრულებამ 40.8% შეადგინა. აღნიშნული თანხა მოხმარდა:


- დიდების მემორიალის კაპ. რემონტს - 1.0 ათ. ლარი.
  - საახალწლო და სადღესასწაულო ქალაქებაფორმებას - 13.4 ათ. ლარი.
  - საახალწლო ქალაქებაფორმებისათვის ინვენტარის შემენას - 29.2 ათ. ლარი.
  - უპოვართა სასადილოს დარბაზის კაპ. რემონტს - 38.5 ათ. ლარი.
  - ახალ რაიონში საბავშვო ბაღის მიმდებარე ეზოს მოწყობას - 18.4 ათ. ლარი.
  - სასწრაფო სამედიცინო დახმარების სადგურის ეზოს მოწყობას - 16.9 ათ. ლარი.
  - მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობას - 92.9 ათ. ლარი.
- აღნიშნული თანხით დაფინანსდა თავდადებულის N11, არზიანის N9, N11, N13, მ.აბაშიძის N14, ბარათაშვილის N25, ზამბახიძის N26, N28, გამსახურდიას N16 საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები. ზემოაღნიშნული ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები დასრულდება 2019 წელს.
- მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) კეთილმოწყობას - 930.1 ათ. ლარი.
  - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის სასწრაფო სამედიცინო დახმარების შენობის მშენებლობას - 329.2 ათ. ლარი.
  - პულტურული მეკვიდრეობის სარესტავრაციო სამუშაოებს - 10.0 ათ. ლარი.
- აღნიშნული თანხით სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა ნიკო ნიკოლაძის მემორიალურ ავეჯს.

გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის გეგმით განსაზღვრული იყო 744.2 ათ. ლარის ხარჯი, დაფინანსებამ შეადგინა 696.8 ათ. ლარი, ანუ 93.6%. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- გარე განათების ელ.ენერგიის ხარჯების ანაზღაურებას - 667.4 ათ. ლარი.
- გარე განათების მოვლა-პატრონობას - 1.9 ათ. ლარი (გასული წლის დავალიანება).
- დადიანის მოედნის განათებას - 25.1 ათ. ლარი.
- ლედ ნათურებით გარე განათების მოწყობის პროექტირებას - 2.4 ათ. ლარი.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში - გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა 2 949.9 ათ. ლარის ხარჯს, დაფინანსდა 2 637.4 ათ. ლარით, ანუ 89.4%-ით. მათ შორის:

- უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების (ძაღლები) დაჭერა-იზოლირებისათვის დაიხარჯა 30.7 ათ. ლარი.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ დაფინანსდა 2 340.7 ათ. ლარით;
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ დაფინანსდა 82.8 ათ. ლარით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის ხარჯმა შეადგინა 183.2 ათ. ლარი.



## VI. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვა

### ჯანმრთელობის დაცვა

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები დაფინანსდა 623.4 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.1%-ია. გეგმა ითვალისწინებდა 629.2 ათ. ლარის ხარჯს. მათ შორის:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდა 165.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 98.2%-ია.
2. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 458.4 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 461.2 ათ. ლარის ხარჯს.

მათ შორის:

- მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა დაფინანსდა 268.1 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 695 მოქალაქეს.
- მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 85.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.8%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 938 მოქალაქეს.
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების პროგრამის ხარჯმა შეადგინა 45.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 98.9%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 28 მოქალაქეს.
- გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამისათვის ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 99.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 300 მოქალაქემ.
- სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 34.0 ათ. ლარით, დაფინანსებამ 33.9 ათ. ლარი შეადგინა.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამის ხარჯმა 15.5 ათ. ლარი შეადგინა, რაც გეგმის 100%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 30 ბავშვმა.

### სოციალური დაცვა

სოციალური დაცვის ღონისძიებების ხარჯები განსაზღვრული იყო 1 256.6 ათ. ლარით, დაფინანსებამ შეადგინა 1 230.8 ათ. ლარი, ანუ 97.9%.

მათ შორის:


1. ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა დაფინანსდა 412.7 ათ. ლარით. გეგმა ითვალისწინებდა 416.3 ათ. ლარის ხარჯს.

აქედან:

- მარტობელა დედათა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 56.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.8%-ს შეადგენს. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიური დახმარება გაეწია დაახლოებით 103 მოქალაქეს.
- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ პროგრამა დაფინანსდა 90.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.3%-ია.
- 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს რუსეთის აგრძელების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 5.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 11 ოჯახს.
- 2008 წლის აგვისტოს რუსეთის აგრძელების შედეგად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა ოჯახების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 7.2 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიურად დახმარება გაეწია 4 ოჯახს.
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 7.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 98.7%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 31 მოქალაქეს.
- ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 17.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 96.8%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 179 ოჯახმა.
- მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 166.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 221 ოჯახმა.
- 5 და მეტშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 34.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 17 ოჯახმა.
- უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 23.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.6%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 53 მოქალაქემ.
- უსინათლოებისათვის წნევის გამზომი ხმოვანი აპარატების შემენის პროგრამა დაფინანსდა 1.5 ათ. ლარით, რაც გეგმის 83.3%-ია. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 10 მოქალაქემ.

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 1.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 90.0%-ია.
- 2. სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ეჭვმდებარება კლასიფიკაციას (სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა) დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 11.6 ათ. ლარით. აღნიშნული თანხა შეადგენს გასული წლის დავალიანებას.**
- 3. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 762.7 ათ. ლარით, რაც გეგმის 97.2%-ია.**
- მათ შორის:
- კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის გეგმა განსაზღვრული იყო 35.0 ათ. ლარი, დაფინანსებამ შეადგინა 30.5 ათ. ლარი, რაც გეგმის 87.1%-ია. აღნიშნული თანხიდან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით გაეწია 19 ოჯახს, ხოლო ჩასასვენებლი ჭურჭელი შესყიდულ იქნა 109 განსვენებულზე.
  - საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები დაფინანსდა 80.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია;
  - სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების პროგრამა დაფინანსდა 39.9 ათ. ლარით, რაც გეგმის 71.4%-ია. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია სულ 392 მოქალაქეს:
    - 17 წლამდე ასაკის დედითა და დედ-მამით ობლებს;
    - 1989 წლის 9 აპრილის მონაწილეს;
    - ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონერებს;
    - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 17 წლამდე ასაკის მოზარდებს;
    - ქალაქში მცხოვრებ უხუცესებს.
  - ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ დაფინანსდა 322.7 ათ. ლარით, რაც გემის 99.6%-ია;
  - ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ დაფინანსდა 289.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.9%-ია.
- 4. სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებისათვის სხვადასხვა დახმარების გაწევისათვის დაიხარჯა 43.8 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია 139 მოქალაქეს.**

### ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამების დაფინანსება 2018 წელს



## VII. დასვენება, კულტურა და რელიგია

დასვენება, კულტურა და რელიგია დაფინანსდა 94.7%-ით, ანუ 3 018.0 ათ. ლარის ნაცვლად დაფინანსებამ 2 857.7 ათ. ლარი შეადგინა.

მათ შორის:

### ა) სპორტის სფერო

სპორტის სფერო დაფინანსდა 1 576.1 ათ. ლარით, რაც გეგმის 96.6%-ია.

1. სპორტული სკოლები (ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა“) დაფინანსდა 99.9%-ით. საკასო შესრულებამ 113.9 ათ. ლარი შეადგინა.
2. სპორტული კლუბები (ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერმი“) დაფინანსდა 67.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.7%-ია.
3. ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“ დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ საკასო შესრულებამ 896.9 ათ. ლარი შეადგინა.
4. ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 86.4%-ით, ანუ საკასო შესრულებამ 72.5 ათ. ლარი შეადგინა.

მათ შორის:

- ზურაბ სარსანიას სახელობის ტურნირი კრივში - 5.1 ათ. ლარი.

- 3. კრატასიუკის სახელობის საერთაშორისო "რეგატა" საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში და ქ. ფოთის რეგატა აკადემიურ ნიჩბოსნობაში - 3.2 ათ. ლარი.
- ქ. ფოთის ღია პირველობა თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში - 3.9 ათ. ლარი.
- საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქ.ფოთის პირველობები საჯარო სკოლის მოსწავლეთა შორის: ხელბურთში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში (3X3), მხიარულ სტარტებსა და გეზრბენში - 4.9 ათ. ლარი.
- წარმატებულ სპორტსმენთა და მწვრთნელთა პრემიალური ხარჯები - 14.2 ათ. ლარი.
- რეგიონალურ სასკოლო ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის: მხიარულ სტარტებში, მინი კალათბურთში (3X3), ხელბურთში, გეზრბენში და მინი ფეხბურთში ფორმებითა და ტრანსპორტის ხარჯებით უზრუნველყოფა - 2.3 ათ. ლარი.
- წლის საუკეთესო სპორტსმენთა და მწვრთნელთა დაჯილდოება - 8.9 ათ. ლარი.
- ფოთის მოხალისე (პროექტი "ჩემი ქალაქის მოხალისე") - 2.1 ათ. ლარი.
- დ. სანიკიძის სახელობის პირველობა 7-კაცა რაგბში - 4.3 ათ. ლარი.
- საქალაქო და რეგიონალური პირველობებისათვის სამოყვარულო ფეხბურთში და სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 2.1 ათ. ლარი.
- სხვა გაუთვალისწინებელი ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები - 8.2 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა:
  - ფერების ფესტივალი - 0.3 ლარი;
  - საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის პროგრამით გათვალისწინებული ქალაქ ფოთის პირველობები საჯარო სკოლების მოსწავლეთა შორის „მხიარულ სტარტებში”, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში(3X3) და ხელბურთში - 6.9 ათ. ლარი;
  - სამოყვარულო ფეხბურთში „ჭაბონამა“ ღონისძიების ტრანსპორტით მომსახურება - 1.0 ათ. ლარი.
- ქ.ფოთის ღია პირველობა პლაჟის ფეხბურთში - 1.5 ათ. ლარი.
- ქ. ფოთის ღია პირველობა ჭიდაობა-ძიუდოში - 3.0 ათ. ლარი.
- ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე - 7.4 ათ. ლარი.
- ქ. ფოთის ღია პირველობა თენგიზ ბარამიძის თასზე "ჩქაროსნული ბლიც" 64 უჯრიან შაშში - 1.4 ათ. ლარი.

5. სპორტ. დარბაზის რეკონსტრუქცია (ნ. ჟვანიას ქუჩაზე მდებარე სპორტ.დარბაზის კაპიტალური შეკეთება) დაფინანსდა 424.7 ათ. ლარით, რაც გეგმის 96.6 %-ს შეადგენს.

6. სტიქიის შედეგად დაზიანებული მინი სტადიონების სარემონტო სამუშაოები დაფინანსდა 0.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 1.0%-ია. აღნიშნული სამუშაოს დაუფინანსებლობა გამოწვეულია იმით, რომ

ხელშეკრულება დაიდო 2018 წლის ბოლოს. შესაბამისად, სარემონტო სამუშაოები განხორციელდება 2019 წელს.

### ბ) კულტურის სფერო

კულტურის სფერო დაფინანსდა 945.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 92.8%-ია.

1. სახელოვნებო სკოლები (ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი) დაფინანსდა 210.6 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.
2. ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ დაფინანსდა 99.8%-ით, ანუ 129.7 ათ. ლარით.
3. ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრი“ დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 459.3 ათ. ლარით.
4. სსიპ „ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 25.0 ათ. ლარით. აღნიშნული თანხა არის გრანტი „რეგიონული თეატრების ფოთის საერთაშორისო ფესტივალის“ ორგანიზებულად ჩატარებისათვის.
5. სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა 79.7%-ით, ანუ 119.4 ათ. ლარით.

მათ შორის:


- შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 16.0 ათ. ლარი.
- 3-8 მარტი - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 8.5 ათ. ლარი.
- 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 1.7 ათ. ლარი.
- დედაენის დღე - 5.9 ათ. ლარი.
- 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 4.2 ათ. ლარი.
- ბოლო ზარისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 1.7 ათ. ლარი.
- 1 ივნისი - ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 2.5 ათ. ლარი.
- საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოება (საჩუქრები) - 4.1 ათ. ლარი.
- პროფესიული დღეების აღნიშვნა - 8.8 ათ. ლარი.
- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდებისა და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა მატერიალური წახალისება (ჯილდო) - 13.2 ათ. ლარი.
- კულტურულ ღონისძიებებში, ფესტივალებში და კონკურსებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 3.9 ათ. ლარი.

- სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებები - 3.0 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა მედია პროექტი „ეტალონი“.
  - ქალაქის დღე - 15.7 ათ. ლარი.
  - 8 აგვისტო - რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 1.7 ათ. ლარი.
  - ნიკო ნიკოლაძის 175 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 6.5 ათ. ლარი.
  - რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალი ფუძეობა - 22.0 ათ. ლარი.
6. თეატრის კაპ. შეკეთების პროექტირება დაფინანსდა 1.8 ათ. ლარით.

### გ) რელიგიის სფერო

უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტამარი დაფინანსდა 84.2%-ით, ანუ 165.0 ათ. ლარით.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ დაფინანსდა 170.8 ათ. ლარით, რაც გეგმის 99.4%-ია.



## VIII. განათლება

განათლების სფერო დაფინანსდა 90.8%-ით, ანუ 2 911.6 ათ. ლარის ნაცვლად, საკასო შესრულებამ 2 643.5 ათ. ლარი შეადგინა.


მათ შორის:

- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღზრდელო გაერთიანება“ დაფინანსდა 2 439.2 ათ. ლარით, ანუ 99.9%-ით;
- საბავშვო ბაღების შენობის გაზიფიცირება დაფინანსდა 174.3 ათ. ლარით, რაც გეგმის 96.2%-ია; აღნიშნული თანხით მოხდა N1, N6, N10, N16 და N13 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაზიფიცირება.
- N11, N12, N13, N14, N15 და N17 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების კაპ. შეკეთების სამუშაოები დაფინანსდა 28.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 28.0%-ია.

დაუფინანსებლობა გამოწვეულია იმით, რომ ობიექტი დასრულებულია, მაგრამ შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტი“-ს ინსპექტირების ორგანოდან ექსპერტიზის დასკვნის მიღება 2018 წლის ბოლომდე ვერ განხორციელდა.

- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სახურავების კაპ. შეკეთების სამუშაოები დაფინანსდა 2.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 1.1%-ია.


დაუფინანსებლობა გამოწვეულია იმით, რომ სტიქიის შედეგად დაზიანებული N10, N17, N5 და N11 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სახურავების კაპ. შეკეთებაზე ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წლის ბოლოს. შესაბამისად, სამუშაოები დასრულდება და დაფინანსდება 2019 წელს.




## 2018 წელს გაწეული გადასახდელები მუხლობრივ ჭრილში

- “შრომის ანაზღაურების” მუხლი დაფინანსებულია 99.8%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 2 705.0 ათ. ლარის ოდენობით, დაფინანსებამ 2 698.8 ათ. ლარი შეადგინა.
- “შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება” დაფინანსდა 350.0 ათ. ლარით, რაც გეგმიას 100.0%-ია.
- “მივლინების” ხარჯები დაფინანსებულია 94.1%-ით, გეგმა იყო 23.6 ათ. ლარი, ფაქტიურად გაწეულია 22.2 ათ. ლარის ხარჯი.
- “ოფისის ხარჯები” დაფინანსებულია 96.1%-ით. გეგმა განსაზღვრული იყო 265.1 ათ. ლარი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 254.7 ათ. ლარი შეადგინა.
- “წარმომადგენლობითი ხარჯები” დაფინანსებულია 12.8 ათ. ლარით, ანუ 93.4%-ით.
- „რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირადი ჰიგიენის საგნების შეძენის ხარჯები“ დაფინანსებულია 1.4 ათ. ლარით, რაც გეგმის 93.3%-ია.
- “ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები” დაფინანსებულია 88.4%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 151.0 ათ. ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 133.5 ათ. ლარი შეადგინა.
- „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ დაფინანსდა 91.0%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 1 143.4 ათ. ლარის ხარჯი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ 1 040.7 ათ. ლარი შეადგინა.
- “პროცენტის“ ხარჯი დაფინანსდა 100.0%-ით, ანუ 86.8 ათ. ლარით.
- “სუბსიდიების“ ხარჯი დაფინანსდა 99.4%-ით, გეგმით განსაზღვრული იყო 8 036.3 ათ. ლარის ხარჯი, ფაქტიურმა დაფინანსებამ 7 985.7 ათ. ლარი შეადგინა.
- „გრანტების“ ხარჯი დაფინანსებულია 25.0 ათ. ლარით, რაც გეგმის 100.0%-ია.
- „სოციალური უზრუნველყოფის“ ხარჯი დაფინანსდა 96.7%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 929.5 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 898.6 ათ. ლარი შეადგინა.
- „სხვა ხარჯების“ გეგმა დაფინანსდა 447.2 ათ. ლარით, გეგმა განსაზღვრული იყო 1 453.4 ათ. ლარის ოდენობით.
- „არაფინანსური აქტივების ზრდა“ დაფინანსდა 49.7%-ით, გეგმა განსაზღვრული იყო 5 926.1 ათ. ლარით, ფაქტიურმა დაფინანსებამ 2 944.7 ათ. ლარი შეადგინა.
- „ვალდებულებების კლება“ დაფინანსდა 99.9%-ით, ანუ ფაქტიურმა დაფინანსებამ 142.2 ათ. ლარი შეადგინა.

**გადასახადების დაფინანსება მუხლობრივ ჭრილში 2018 წელს  
(ათ. ლარებში)**



## დაფინანსების პროცენტული მაჩვენებლები მუხლობრივ ჭრილში 2018 წელს



სულ 2018 წლის ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა შეადგინდა 21 252.8 ათ. ლარს, ფაქტიურმა დაფინანსებამ შეადგინა 17 044.3 ათ. ლარი, ანუ 80.2%.